გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათ შესახვევს მასალას.**

**ხელობადა აქვს კეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთის წუთის სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მჟავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც ძალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდოფორმით შეზავებული მარლისა.

უმთავრესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისებურ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—8)

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბ-ნთ წევრთა დამფუძნებელთა და ხსენებულის ბანკის მსესხებელთა კრებას, რომელიც ამ 1892 წლის 12 მაისს არის დანიშნული, განსახილველად წარედგინება, გარდა უკვე გამოცხადებულის საგნებისა, კიდევ შემდეგი მოხსენებანიც:

ა) იმის შესახებ, რომ ბანკს ნება მიეცეს ხოლმე დიდ-ვადიანი სესხი გასცეს ქალაქებს, ერობათ, საზოგადოებათ და საზოგადო დაწესებულებათ უძრავ ქონების დაუგირავებლად;

ბ) იმის შესახებ, რომ აჰქარდეს იმ ვალის გარდახდა, რომელიც ბანკის ქარვასლაზეა,

და გ) შეცვლილ და შევსებულ იქმნას ბანკის წესდების მე-89 პარაგრაფი. (3—1)

გამოვიდა ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში:

**ათაბაგნი**

ბექა და ალგულა

და

მათი სამართალი,

ნ. ურბნელისა.

ფასი ათი შაური (50 კაპ.) (6—2)


## ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელმა შემდეგს სტუდენტებს დაუნიშნა კავკასიის სტიპენდიები: მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს: ნიკოლოოზ ბაჟანოვს, მაქსიმე ლამბაროვს, ივანე მირაქოვს, ვლადიმირ კაშჩენკოს და სერგეი მონინს; ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტს იაკობ მინასიანცს და სამეურნეო აკადემიის სტუდენტს ვლადიმერ შიროკოვს.

⁂ გუშინ, 27 აპრილს, გაემგზავრა ტფილისიდგან ეპისკოპოსი მამბრე ალვანიანი. მამბრეს დიდ-ძალი ხალხი მისდევდა, ოც-და-ხუთამდე ეტლი გამცილებლებით იყო სავსე. მისი უსამღვდელოესობა ნაშუადღევის 1 საათსა და 20 წუთზედ რკინის გზის მატარებლით ბაქოსაკენ გაემგზავრა და იქიდგან ეჩმიაძინში წავა პატრიარქის არჩევანებზედ დასასწრებლად, რომელიც 3 მაისს უნდა დაიწყოს.

⁂ ქალაქის გამგეობა აპირობს წარადგინოს საბჭოში ვრცელი მოხსენება ტფილისში ტელეფონის გამართვის შესახებ. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-გამგეობის უფროსმა უკვე ნება დართო ქალაქს ტელეფონის გამართვისა, მაგრამ ის პირობა დაუდო, რომ როდესაც მთავრობა მოინდომებს თავისით ტელეფონის გამართვას, ქალაქმა უსასყიდლოდ უნდა დაუთმოს ყოველივე თავისი მოწყობილებაო. ეხლა თავისის მოხსენებით გამგეობა წინადადებას აძლევს საბჭოს, იშუამდგომლეთ, რომ მთავრობამ ნება-რთვა მოგვცეს ტელეფონის გამართვისა საზოგადო საკონცესიო უფლებითაო. ამ კანონის ძალით კონცესიის ვადა 20 წელიწადია. ფასი 3 ვერსზედ არა უგრძესის ტელეფონისა 250 მანათია, ხოლო შემდეგ თითო ვერსზედ ხუთი თუმანი ემატება. სახელმწიფო დაწესებულებანი ამის ნახევარს ფასს იხსდიან. 10% შემოსავლისა ხაზინა ეძლევა. 7 წელიწადს შემდეგ ტელეფონის გამართვისა, სახელმწიფოს შეუძლიან თავისად შეისყიდოს იგი.

⁂ ძველ დამოჟნის ქვემოდგან, მირზოევის სახლებთან, უცნაური დამოჟნა გაუმართავთ. გაატარებენ თუ არა მეცხვარეები ფარას ცხვრისას, გამოუვარდებიან საიდგანღაც მოსამსახურე ბიჭები და წაავლებენ კისერში ხელს საცოდავს მეცხვარეებს: თქვენ აქ საქონელს ბალახს აძოვებდით და სამი ან ხუთი მანეთი უნდა გადიხადოთ ბალახის ფასიო. ამ აპრილის 24-საც ერთს მეცხვარეს, სახელდობრ დავით გუგუტაშვილს, წამოედავნენ, დიდი დავიდარაბა აუტეხეს და ხუთი მანეთი წაართვეს. იმედია, ბ-ნი მირზოევი ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს და თავისთა მოსამსახურეთა უწეს-ურიგო საქციელს აჰლაგმავს.

⁂ კვირას, 27 ამ თთვისას, ქართულს თეატრში ვ. აბაშიძემ გამართა სამუსიკო და სადრამო სალამო. წარმოადგინეს „ეხლანდელი სიყვარული“, კომედია 4 მოქ., ერთი სურათი „სტრადელადგან“ და დივერტისმენტი. ქ-ნს მანდენოვისას ამ წარმოდგენაში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა გამოცხადებული-კი იყო. წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო.

⁂ კვირას, 26 ამ თთვისას საღამოს რვა საათზედ, მუშტაიდიდგან მომავალს ვაგონში № 24 ლაპარაკი მოუვიდათ ამ ვაგონის კონდუქტორსა და ვაგონში მჯდომს კაცსა, რომელსაც თანა ჰყავდა პატარა ყმაწვილი. კონდუქტორი ამ კაცს უმტკიცებდა, რომ ყმაწვილისათვისაც ბილეთი უნდა იყიდოო. ის-კი თავისს მხრივ ამბობდა, მე არ მახსოვს, რომ ამ ყმაწვილისათვის ბილეთი მეყიდნოსო. ამ ერთის საათის წინად მუშტაიდში წავიყვანე ყმაწვილი და ბილეთის ფასი არ გადამახდევინესო. ამ ერთს საათს ისე გაიზარდი ჩემი შვილი, რომ ეხლა ბილეთის ფასი უნდა გადავიხადოო? კონდუქტორმა თავისი არ დაიშალა, გააჩერა ვაგონი და დაიწყეს ბაასი. ვაგონში მჯდომი ხალხი-კი ყურს უგდებდა და ელოდდა, როდის გათავდება ეს კამათობა, რომ ბინაზედ მისვლა გვეღირსოსო. ერთმა ვაგონში მყოფმა სთხოვა კონდუქტორს, თქვენი წესდება მიჩვენეთო, მაგრამ კონდუქტორმა უპასუხა: მე არაფერი წესდება არა მაქვს და არც მოვალე ვარ, რომ მქონდესო.

⁂ ქუთაისი: 25 აპრილს, დილის 10 საათზედ, ბ-ნ ს. თოფურიას სამკურნალოდგან, რომელიც, აგერ ორი თთვეა, გადავიდა რიონის მახლობლად, გამოვიდა სულით ავადმყოფი. გადავარდა რიონში და წყალმა გაიტაცა. თუმცა მაყურებელთ ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ შეუბრალებელმა, გიჟმა რიონმა მაინც იმსხვერპლა სა-

# ფელეტონი

### ჩვენი უთავბოლობა.

ჩვენი ინტელიგენცია

(შემდეგი. იხ. „ივერია“, № 85)

დაგვრჩა კიდევ ხალხის ცხოვრების საქმეებთან შორიდამ დაკავშირებული ქალაქების ინტელიგენცია—ინტელიგენცია ჭეშმარიტი და ინტელიგენცია ყალბი. ჭეშმარიტი ინტელიგენცია ისე ცოტაა, როგორც ქმრის სიყვარულის ჭეშმარიტად ერთგული მანდილოსანი. ყალბს ინტელიგენციას იმ ყოველ ნაირ სამსახურისა და არა-სამსახურის კაცებს ვეძახი, რომელთაც-კი დაბალი, საშუალო და უმაღლესი სწავლა მიუღიათ და ისინი ქვეყნისათვის არც ვაშლს ისხამენ, არც პანტას და არც მაჟალოს, მხოლოდ ისინიც იმავე სიტყვით გამოსახატნი უნაყოფო ბალახბულახნი არიან, რასაც დღევანდელ რუსეთის ინტელიგენციაზედ ამბობს ბ-ნი პ. იატროსი: Пойдите въ общество уѣздной, губернской или столичной такъ называемой интеллигенціи; вы увидите здѣсь людей дипломированныхъ: докторовъ, учителей гимназіи, судей, адвокатовъ и т. д.; послушайте, что они говорятъ; посмотрите, что они дѣлаютъ: карты, вино, обжорство, сплетни... и никакихъ признаковъ интеллигентности—за рѣдкими исключеніями. Поговорите съ кѣмъ-нибудь изъ нихъ по душѣ: онъ сознается, что были у него въ молодости идеалы, а теперь улетучились („Сѣв. Вѣс.“), № 1, 90 წ.). არა, ესეც კარგი, თუ ამას მაინც იტყვიან ჩვენი ქარაფშუტა თანამემულენი: მეც ვოცნებობდი ერთხელ სამშობლოს წარმატებაზეო, მაგრამ ბევრს იმათგანს სამშობლო მარტო სათლელ დუმად მიაჩნია და ვინც ბევრს მოსთლის ფლავ-ბოზბაშისათვის, გმირიც ის არისო, ამას ჰფიქრობენ. დღეს მრავლად მოიპოვება ყველა ქვეყანაში ასეთი ზნეობით წამხდარი და გონებით დამპალი „ინტელიგენცია“, მხოლოდ მათი მოსარჩენი წამალი-კი არსადა სჩანს ჯერ-ჯერობით, გარდა სიკვდილისა, რომელიც ერთად-ერთი დალოცვილი საშუალებაა მგზავსის კაცუნების შესათხელებლად და ასაგავად ქვეყნის ზურგიდამ.

რაც შეეხება მცირე ნაწილს ჭეშმარიტ ინტელიგენციისას, ეს ჩვენის ქვეყნის მოღვაწენი არიან, მხოლოდ ვაი, რომ ისინი მდაბიო ხალხში არ გამოდიან ქრისტეს მოციქულებივით სამოქმედოდ, შორიდამ მოქმედობენ სიტყვით და იმათი ახალი სულის ჩამდგმელი სიტყვა-კი დღესაც არ მისწვდომია მწარე ცხოვრებისაგან მწარედ გატანჯულ უმრავლესობის ყურსა და გონებას, და თუნდა მისწვდეს კიდეც — მეტად უდღეო-უხიმშიათო ნაყოფს გამოიღებს და რა მიზეზით, ამასაც თავის ალაგას მოგახსენებთ, თუ-კი თქვენი ნებაც იქნება და მცირეოდენს სმენას არ დაიზოგავთ თქვენის უმორჩილესის მონისათვის, რომელიც არა იმისათვის ლაპარაკობს, რომ თავისი სიტყვა დიდ რამედ მიაჩნდეს. არა, ამას ნუ დამწამებთ, მკითხველო, მე მხოლოდ მალაპარაკებს შემდეგი ზნეხასიათი ჩემის უცნაურის სულისა: თუ არა ვსთქვი, რასაც ვხედავ, ვგრძნობ და ვფიქრობ, ავად გავხდები და აბა რა ჭკუაა მოეკვლევინოთ სევდის ლოდივით გულზე შემოწოლილს გრძნობა-ფიქრებს, როდესაც ენას შეუძლიან იგინი თეთრს ქაღალდზედ ამოყაჭოს და დაგვხსნათ სულისა და გულის ამაშფოთებელს წამებას...

აქ მეტი არ იქნება სტუდენტობასაც თვალი გადავავლოთ, როგორც დღეს თუ ხვალ ქვეყნის წინმსვლელობის უღელში გამოსაბმელ ინტელიგენციას. თუ-კი სახარე ხბოს შეეტყობაო, ჩვენ რატომ ვერ უნდა შევატყოთ ცოტად მაინც, ვინ რა იქნება მომავალში და რას დაისხავს სამშობლოს ერისათვის: ყურძენს, ტყემალს, თუ ნარეკალს. აბა მაშ გადავწიოთ ფარდას და შევიდეთ რუსეთში მყოფს ჩვენის სტუდენტების პატარ-პატარა კულისებში. შეხვალთ თუ არა იმათ დროებით სადგურებში, ჯერ პირველად სტუდენტური უთავ-ბოლობა და დაუდევნელობა გადაგეშლებათ თვალ-წინ მოფუნკულ პანარამასავით და რაც უფრო მეტად დააკვირდებით, იმდენად მეტს მოსახილებელს მოიხილებთ; თქვენ ჰნახავთ, იქ ერთმანეთში ალინთულ-დალინთულა დომხალსავით: წალა, ჩაინიკი, თამბაქო, შაქარი, საცვლები, სტაქნები, წიგნები, კალოშები, ქუდი, თეფში, სარკე, კალბასი, შალვარი, ლექციები, იუპკა, ლუდის ბოთლები და სხვა; იხედებით აქეთ-იქით, კარი ღიაა, შინ არავინ არის. ფიეე! ჰფიქრობ შენთვის: ლეკის ჯარს აუნადგურებია აქაურობა და პატრონიც ტყვედ წაუყვანია, თუ როგორ არის?... ბოლოს ებლაუჯებით საწკარუნებელს და გეცხადებათ მსახური, რომელიც ჯერ მუშტრის თვალით აგათვალიერ-ჩაგათვალიერებთ და მერე რაც თქვენის ტანისამოსის ავ-კარგიანობას შეჰფერის, იმის საკადრისად შეგეკითხებათ ან: Чево тебѣ нужно? მოგახლით გარისხებულ მხეცივით, ან: Что прикажете, баринъ хорошій—მოგიგურგულებთ მინაზებული კილო-ღიმილით, თითქოს ეს არის თავზედ ხელის გადასმას მიპირებსო გეგონებათ და თანაც ცოფივით

ცოდავი. ძლიერ კარგი იქნებოდა, ყურადღებას არ მოაკლებდეს, ვისიც ჯერ არს, დანარჩენს ავადმყოფებს, რომ ამ გვარი უბედურება შემდეგ აღარ მოხდეს. დამრჩვალის გვამი ვერ უპოვნიათ.

*** ქობულეთი: ვიდრე რუსეთი შეიერთებდა ჩვენს მხარეს, მანამდე ქართველს თათრებში ყვავილის აცრა სულ არ იცოდნენ; გაგონებითაც-კი არ გაეგონათ, რა არის ყვავილის აცრა. იმ დროს ისე არ გავიდოდა ორი-სამი წელი, რომ ყვავილი არ გაჩენილიყო და მრავალი არ დაეხოცა. წელსაც გაჩნდა ჩვენში ყვავილი, მაგრამ მადლობა ღმერთს, ეხლა ქართველმა თათრებმა შეიგნეს, რომ ყვავილისათვის აცრა ძლიერ კარგიაო. სამწუხაროდ, ამცრელნი არსად არიან, თუმცა აცრის სურვილი დიდი აქვთ გამაჰმადიანებულ ქართველებს.

*** აჯი-ქაბული: ამ თთვის 23-ს აქ გვესტუმრა ერთი ახალგაზდა, ესე 17—18 წლისა. იმ ღამეს საათის თერთმეტზედ მესამე კლასის ფანჯრის მინა გამოემტვრია, შესულიყო შიგ და გაეტეხა დახლი, სადაც ინახებოდა წვრილი ფული და დღიური ნავაჭრი. ყოველივე ეს სრულიად წაეღო. ეს ამბავი გაიგო ბუფეტის გამგებელმა ღამის პირველს საათზედ და მაშინვე აცნობა ჟანდარმს. გუმანი მიიტანა ახალგაზდა ბიჭზედ. ჟანდარმმა დაუკრა დეპეშები აქეთ-იქით სადგურის ჟანდარმს. მეორე დღეს ეს ახალგაზდა მოაბძანეს თოკით გაკოჭილი. უპოვნეს ზედ 27 მანეთი და 52 კაპ. ექვსი აბაზი მე შევჭამეო. თავის დანაშაულობა ასე აღიარა საწყალმა: „რა მექნა, ფული არა მქონდა, დედ-მამა არა მყავს და გაჭირვებულმა მდგომარეობამ იძულებული მყო ეს საზიზღარი საქმე ჩამედინაო“. თავისის ვინაობის ქაღალდი არა ჰქონდა და სთქვა, ტფილელი ვარ, მიხეილ სოლომონის ძე მაპუკაშვილიო. დამნაშავეს შეუდგინეს ოქმი და გაგზავნეს, სადაც ჯერ იყო.

*** ძეგამი: ძეგამში ამ ჟამად 50 კაცი ჰმუშაობს კალიის გასაწყვეტად. 25 აპრილს მე-417 ვერსზედ ერთს მუშას, ყარა-სრაზალ-ოღლის, რკინის გზის ლიანდაგზედ უნდოდა გადაერბინა. ამ დროს ფოსტის მატარებელი № 3 მოდიოდა. ყარა-სრაზალ-ოღლიმ ვერ მოასწრო ლიანდაგს გადასვლა, მატარებელი დაეტაკა და მუშამ იქვე სული განუტევა.

*** ბაქო: 25 აპრილს 725 ვერსზედ მატარებელმა № 33 ქვეშ მოიტანა და გასრისა რკინის გზის ლიანდაგის ყურის-მგდებელის ცოლი, ანნა ტიხონის ასული კუზნეცოვისა. საბრალო დედაკაცს რკინის გზის ლიანდაგიდგან ძროხა უნდა გამოეგდო. ამ დროს მატარებელი მოდიოდა, დედაკაცმა ლიანდაგიდგან გადმოსვლა ვერ მოასწრო და ქვეშ მოჰყვა.

*** მეშედი, 24 აპრილი. გაზეთს „Кавказъ“-ს დეპეშით ატყობინებენ მეშედიდგან, რომ თურბეთ-ი-შეიჰ-იჯამში*) ხოლერა გაჩენილა. ხოროსანის გუბერნატორი არავითარს ღონისძიებას არა ხმარობს თურმე. რუსეთის მთავრობას თავისი მკურნალი გაუგზავნია ამ ქალაქში.

*** გაზეთს „Нов Обоз.“-ს შეუტყვია, რომ ტფილისის აგურის ქარხნები სამიოდე იჯარადარს ჩაუგდიათ ხელში და გაუძვირებიათ. 1000 ცალი აგური აქამდის 10 მან. ღირდა და ეხლა-კი ამ იჯარადრების წყალობით 17 მან. ღირს თურმე.

*** 25 აპრილს დიდუბეში, ელისაბედ გუტბროტის ლუდხანაში მოსამსახურედ მყოფი. სოფ. ტბეთის მცხოვრებელი სეფე ამირანის ძე ჩოხონლიძე მტკვარზედ ცხენს წყალს ალევინებდა, უეცრად გადავარდა და დაირჩო. გვამი ჯერ არ უპოვნიათ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. თიღვა** (ზემო ქართლი). ისევ შარშანდელი გაზაფხული გვერჩივნა წრევანდელს. აგერ აპრილი გადის და ხელი ვერ მოვითბეთ: სულ უამინდობა, წვიმა და ქარია. ერთს დღეს რომ ოდნავ გამოიდაროს, ერთს კვირას საშინელი წვიმა-ქარია. ვემდურით მეტადრე ქვენა ქარს, რომელმაც თითქმის სულ ამოახმო მიწები. თესვას ვინლა იტყვის, თუ არ შეძლებული ოჯახი ხარ-კამბეჩით, ღარიბი ხალხი, რომლის რიცხვიც ბევრად მეტია, თითქმის სულ უხნავ-უთესია.

ერთის მხრივ ამისთანა უამინდობისაგან არის აქაური გლეხ-კაცი შეწუხებული და დაღონებული, ხოლო მეორეს მხრივ ათას ნაირის ავადმყოფობით, რომელთა შორის უფრო გახშირებულია „ინფლუენცია“ და სახადი; ყივანა ხველაც-კი. ბევრგან მძვინვარებს და მუსრს ავლებს ბავშვებს. იშვიათია სახლი, რომელშიაც ავადმყოფი არ იყოს. არის იმისთანაც, რომელშიაც 4 და 5 წევს გადადებული. სად არის შველა, ან აფთიაქი და ან მცოდნე მკურნალი? ამათ კაცი კიდევ არ ინაღვლიდა, რომ ერთი გლახა ფერშალი მაინც მოიპოვებოდეს ამოდენა ხეობაში. საკვირველია, ღმერთმანი, რომ ასე დაუდევარია ჩვენი საზოგადოება. გლეხკაცობა როგორ გაამტყუნოს კაცმა, როდესაც თვით თავადნი და აზნაურნი უარესს გაჭირვებაში არიან ამ შემთხვევაში. ნუ თუ ამათთვის მაინც არ უნდა იყოს საფიქრებელი ეს საგანი?! თავად-აზნაურნი სცხოვრობენ შემდეგს სოფლებში: ოქონაში, კნოლევში, ავლევში, ცერნისში, თამარაშენში, ფცაში, აბისში, ატოცში, ბალთა ფათქინეთში, საციხურში, აბანოში, წადულში, ვაყაში, დუმაცხოველში და ბევრგან კიდევ სხვაგან.

საშუალოდ რომ ავიღოთ, ამ ხსენებულს 15 სოფელში, სულ ცოტა, იქნებიან 200 კომლამდე თავად-აზნაურნი. ნუ თუ ამათთვის საძნელო უნდა იყოს, რომ თავიანთთვის იქონიონ ერთი აფთიაქი, იყოლიონ მცოდნე მკურნალი და ფერშალი. გარწმუნებთ, რომ გლეხ-კაცობა ძლიერ არის მოწადინებული, მაგრამ ვინ გახლავთ მოთავე, საქმის გზაზედ დამყენებელი. ყველანი ძილსა და განსვენებას მისცემიან. ყველა განცალკევებულა, განაპირებულა და ამის გამო ყველა დიდს უხერხულობაშია. ამიტომ ხშირია ავადმყოფობა და სიკვდილი, ამიტომაც მრავალია ჭირი თავსა ზედა ჩვენსა. ისე დღე არ გავა, რომ ორი და სამი არ იხოცებოდეს. თავად-აზნაურთ, რომელთაც ცოტაოდენი ღონისძიება და შეგნება აქვთ, კიდევ მოჰყავთ გაჭირვებაში ან სურამიდგან, ან გორიდგან და ან ცხინვალიდგან მკურნალი და ამით თავსა ჰშველიან, მაგრამ რა ჰქნას საწყალმა პირუტყვმა გლეხმა, რომელსაც არც ერთისა და არც მეორის თავი არა აქვს.

ვისურვებთ, რომ ამ ჩვენის ორის ფრონის ხეობის თავად-აზნაურთ გაელვიძნოთ, საკუთრივ თავიანთ სარგებლობისათვის მაინც ეზრუნოთ და მით საზოგადო საქმეც წინ წაეწიოთ. მე მგონი დროც იყოს და აუცილებელი საჭიროებაც. ამ გამოღვიძებითა და ზრუნვით არამც თუ თავიანთს თავს დაიხსნიან ყოველ ფათერაკისაგან, არამედ გლეხთაც დიდი შემწეობა და შეღავათი ექმნებათ... ამასთანავე არ შეგვიძლიან არ ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებს ის ახალი უბედურებაც, რომელიც მოხდა სოფ. თიღვაში და რომელმაც საშინელი თავს ზარი დასცა მთელს ხეობას. ამ თთვის 17, პარასკევს, იქნებოდა ნაშუადღევის ორი საათი, რომ უცებ შეიქმნა საშინელი ზარის რეკვა; ზარის ხმაზედ მიცვივდა ათითორმეტი სოფლის მცხოვრები. გაუჩნდა ცეცხლი გლეხ ზაქარია ნადირაძის ორ-სართულიანს ხის სახლსა და სულ ერთიანად გადიწვა. რადგან დღე იყო, ადამიანის ზარალი არა ყოფილა-რა. სახლიდგან ბევრი ვერა გამოიტანეს-რა, ისე გადიწვა სულ რამდენისამე საათის განმავლობაში. ამ შენობის ჩრდილოეთის მხარეს დგას ქვით კირის ორ-სართულიანი სახლ-კარი განსვენებულის მღვდლის გიორგი ნადირაძისა. ცეცხლი, რასაკვირველია, ამ სახლზედაც გადავიდა და მეტის-მეტი ზარალიც მისცა. ხალხი რომ არა სცდილიყო, ეს სახლიც სულ მთლად გადიწვოდა და არამც თუ ეს შენობა, არამედ 10 და 15 კომლიც სხვა მიჰყვებოდა, რომელთა შენობა-საბძლები სულ ერთმანეთზედ არის გადაბმული და მერე ისიც სულ ხისაა. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ჯერ დაჭეშმარიტებით არავინ იცის, მხოლოდ, როგორც ამბობენ, უთო ულვიებია ზაქარ ნადირაძის ქალსა აივანზედ, რომელიც იყო აღმოსავლეთის მხარეს და ამავე დროს საშინელი ქვენა ქარი ყოფილა. ქარს ნაპერწკალი აუტანია ყავარში, რომელშიაც ბურბუშელა და ნაფოტი ყრილა ბლომად. აქ ცეცხლი გაჩენილა და, ქვენა ქარს რომ დაუბერავს, უცებ მთელი ყავარი გადუწვავს. ზარალი ზ. ნადირაძისა აღემატება ას ოცს თუმანსა და მღვდლის სახლ-კარსაც 60 თუმანზედ მეტი ზარალი აქვს. ერთის სიტყვით, როგორც იტყვიან, ამოწყდა ეს ერთი კომლი კაცი და არც მეორეს დაეყარა კეთილი. მეზობლებსაც გადუწია ცეცხლმა დასავლეთის მხრივ; ზოგს სიმინდით სავსე ძარი დაეწვა—მთელი მისი ავლა-დიდება და ზოგს—დერეფნები. ხალხი — კაცი და ქალი ძრიელ მარჯვედ იქცეოდნენ, იმათის შემწეობით გარშემო შენობანი სულ შემოაცალეს და სადაც ცეცხლი ხვდებოდა, წყალს მარჯვეთ ასხამდნენ. ასე და ამ ნაირად დიდის გაჭირვებით დაბინდებამდის ძლივს გააქრეს ცეცხლი და ამით დაიხსნეს სოფელი გადაწვისაგან.

თიღველი ს.

*) ავღანისტანის საზღვარზედ მდებარე ქალაქია, ჰერათსა და მეშედს შუა გზაზედ.

### წიგნების ბეჭდვის ქართველთ ამხანაგობის შესახებ *)

ანგარიში მოგებისა და ზარალისა

**დებეტი**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| 1. ოპერაციულ დროის განმავლობაში გადახდილია დაუბრუნებელი ხარჯი. სახლის ქირი, მაღაზიაში მოსამსახურე პირთ ჯამაგირი, ბლანკები, დავთრები, შეშა, სანთელი, წერილებისა და აგენტებთან წიგნების გაგზავნა და სხვა წვრილმანი — — — — | 1398 | 64 |
| 2. დავითაშვილის ყდაში იზარალა ამხანაგობამ— | — | 15 |
| 3. თანხმად პირობის მე-21 მუხ. 10°/₀ სათადარიგო თანხაში გადაიდო — | 15 | 33 |
| 4. თანხმად იმავე მუხლის შენიშვნისა სათადარიგო თანხაში იქმნა გადატანილი °/₀°/₀, რომელიც | | |

*) იხ. „ივერია“, № 86.

გერევათ ასეთი ლაქიური პოლიტიკა, მაგრამ ბრაზს გულის სიღრმიდამ არ უშვებთ და შუბლ-შეკრული ეკითხებით: სად არის მავანი?—ნაცნობი ქალი გააცილაო, გიპასუხებთ. გიპასუხებთ და გასალახანებულ ფინიასავით შემოგაცქერდებათ თვალებში: იქნება ღმერთი გაუწყრეს და გადმომიგდოს რამეო. აგერ, მეორე ოთახში ვიღაცა მღერის ბოხის ხმით: „Когда-бъ сокровища вселенной мнѣ были посланы судьбой, я здѣсь остался-бъ неизменный, пошелъ-бы нищимъ за тобой!... Когда-бъ на небѣ былъ я Богомъ, оставивъ ангеловъ своихъ, сошелъ-бы я къ земнымъ тревогамъ найти свой рай у ногъ твоихъ!“ ბიჭოს! ეს ვიღა მღერის ასე არტისტულად? ჰკითხულობთ.—ეგ ერთი კავკასიელი ნასტუდენტარი გახლავთ და თავის გამაუბედურებელ როსკიპს უგალობებსო. როგორ თუ გამაუბედურებელს? ეკითხებით. —გონება მაგის ალერსში დაჰკარგვია საიდლაც, ბევრი უძებნია, ვეღარ უპოვნია უბედურს და პროფესორს სამუდამოდ დაუთხოვნია: წადი, ჰკუა მონახეო. მაგრამ ეგ ისევ თავის უმანკო მტრედს უგალობებსო. ეჰ, რა ქნას საწყალმა, съ милой рай и въ шалашѣ, ხომ მოგეხსენებათო, დინჯად აგისხნით მსახური და კიდევ ყველიპარია კაცსავით ცბიერად შემოგაცეცებთ ხიმხიმა თვალებს: ეგება ეხლა მაინც ისინიდისოს და გადმომიგდოს რამეო.

აგერ თქვენს ბედზედ მოვიდა სტუდენტიც. გამარჯობა, გაგიმარჯოს, რას იქ, როგორა ხარ, მიესალამქალამებით ერთმანეთს და დასხდებით. მცირე სიჩუმეს შემდეგ, როცა ერთმანეთს თვალით გაჰზომავთ, მოაყოლებთ იმ მთისას, ამ მთისას, იქითურს, აქეთურს, ახლა გადახვალთ თანამედროვე პოლიტიკაზედ, ლიტერატურაზედ, ცხოვრების ათას ნაირს ავკარგიანობაზედ; ივლით, ივლით და ბოლოს ჩამოხვალთ საქართველოში, მაგრამ... ვაი შერცხვენილო თავო! უგდებ ყურს და კაცს ღვიძლი ენაც არ შეუსწავლია ცოტაოდნად მაინც, თორემ მშობელის ქვეყნის წარსულისა და აწმყოს არ-ცოდნას ვინლა იჩივლებდა. ჰგმინავთ გულში და ბოღმით გავსებთ ცალკე რუსის მსახურის ისეთი გაუთლელი პოლიტიკა და ცალკე ჩვენის სტუდენტის ასეთი სამშობლოს უვიცობა, მეტადრე იმ წუთებში, როცა ის ჩვენის ქვეყნის მოღვაწეების ნამოქმედარს ზედ-მიწევნით ვერ იცნობს და კადნიერად ასამართლებს ყველას თავის ჰკუაზედ ალალ-ბედობით: მავანი ნიჭიერია, მაგრამ განუვითარებელიაო; მავანი განვითარებულია, მაგრამ უნიჭოაო, ასე რომ ოქროსაც აფოლებს, ვერცხლსაც და იმის გულ-დაჯერებულ სიტყვიდგან ეს დასკვნა გამოდის: ნიჭიერიც მე ვარ და განვითარებულიცაო. ძალიან კარგი! ნეტავი ღმერთმა ბრძანოს და იყოს, მაგრამ აბა ეს სადაური ლოღიკაა, როდესაც ცარიელის ლიტონის სიტყვით ზღვაზედაც-კი ხიდის გადებას გპირდებით და საქმით-კი ისეთი დამბლაცუცა გამოვდივარ, რომ პაწაწკინა ბოგირიც ვერ გამიკეთებია?! ეჰ, ეს მოუნელებელი ბაქიაობაა, და რასაც დღეს ჩვენი სტუდენტობა ტრაბახობს სტუდენტობაში, იმის ნაათიათასალს მაინც რომ აკეთებდეს ოდესმე ქვეყნისათვის, მაშინ ხომ ჩვენს ბედს ძაღლიც ვეღარ დაჰყეფდა. ისე ხოხბის ლაპრებივით დაუფრინდება ხოლმე წმიდა იდეალები ჩვენს სტუდენტობას დიპლომს შემდეგ, რომ თითონაც აღარ იცის, ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ იმისი საგმირო ფიქრები და განზრახვები.

როდესაც ძმურის ერთობის სიყვარულით აღფრთოვანებული ევროპის სტუდენტობა, მაგალითად, საფრანგეთისა, მრავალჯერ იკრიბება კონგრესებზე სამოქმედო პროგრამის შესამუშავებლად, რომ ზედ-მიწევნით შეისწავლონ სამშობლოს საძირკველი: მდაბიო მოძმეების ყოფა-ცხოვრება ქვეყნის წინ-წასაწევად, იმ დროს ჩვენი სტუდენტობა ისე უცქერის ერთმანეთს, როგორც ძაღლი კატას და კატა ძაღლს. თქვენ იმათ წრეებში ვერა ჰნახავთ გულ-წრფელს ძმობაერთობას და საქვეყნო საქმეში ენერგიულს თავ-გამოდებას, და თუ ათასში ერთხელ შეიკრიბებიან ხოლმე—ვაი იმ შეკრებას: იყაყანებენ, იყაყანებენ და დაიშლებიან, ვერც თავს გამოაბმენ რომელსამე სათვალჩინო საქმეს და ვერც ბოლოს. ღვთის წინაშე რომ ვსთქვათ-კი, მაინც დღეს ეს ჩვენი საზოგადო ნაკლია: ყველა ქართველს ქართველური უთავბოლობა გვღუპავს და არ იქნა, ღმერთმა ჩვენთვის აღარ გაიმეტა ის ძლიერი და დაუცხრომელი ენერგია საგმირო მოქმედებისა, რომლითაც ჩვენი სახელოვანი წინაპარნი დუღდნენ და გადმოდიოდნენ და „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანიო!“, წარბ-შეუხრელად გაიძახოდნენ შინ და გარედ ხალხოსნურ სიამაყით გალომგმირებულნი. ჩვენს სტუდენტობას-კი, ჩვენდა სამარცხვინოდ და სავალალოდ, ყველა დაჰვიწყებია ნაციონალური და „სჯობს დიპლომისა შეძენა სამშობლო ქვეყნის ცნობასო“, — გაიძახის ძილშიაც-კი გართული თავის პიროვნულ ფიქრებში. ვაი დროებავ, ზნე-წამხდარო, თავ-ლაფიანო, პილწო, ორგულო, სიზიზღარო, აუგიანო!..

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

| | | |
|---|---|---|
| არ მიეცემათ წევრთ, ვისაც პაის ფული არა აქვთ სრულად შემოტანილი | 75 | 76 |
| 5. იმავე მუხლის ძალით 20% ძირის თანხაში გადაიდო — — — | 102 | 66 |
| 6. ამხანაგობის წევრთ ერგებათ დივიდენდი (7%) | 283 | 58 |
| | 1912 | 12 |

**კრედიტი**

| | | |
|---|---|---|
| 1. სხვა-და-სხვა შემთხვევითი შემოსავალი — — | 63 | 78 |
| 2. გასასყიდად შეძენილ წიგნებიდგან — — | 251 | — |
| 3. იგივე აგენტების მიერ გაყიდულიდგან — — | 65 | 98 |
| 4. საკუთარი გამოცემებისა: ბაჩანას პოემიდგან — | 24 | 88 |
| „ „ დავითაშვილ. თხზ. | 240 | 10 |
| „ „ მისივე სურათიდგან | — | 60 |
| „ „ 1891 წ. კედლის კალენდრიდგან | 63 | 65 |
| „ „ მისივე სურათიდგან | — | 76 |
| „ „ ზღაპრებიდგან I ტ. | 76 | 14 |
| „ „ ყაზბეგის თხზულ. I ტ. | 319 | 14 |
| II ტ. | 186 | 9 |
| III ტ. | 155 | 94 |
| „ „ სამზარეულოდგან“ | 206 | 17 |
| „ „ „ბნელოდგან“ | 42 | 60 |
| 5. ყაზბეგის თხზულებ. და „სამზარეულოს“ ყდებიდგან — — — — | 8 | 83 |
| 6. საკომისიოდ მოცემულის წიგნებისა — — | 206 | 46 |
| | 1912 | 12 |

პროვინციელ აგენტების მოქმედება

**გვარი აგენტისა**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ერთქომაიშვილი | — სოხუმში | 49 | 31 |
| 2. კალანდაძე ბესარიონ | — ბათუმში | 322 | 35 |
| 3. ნოდია კონსტანტინე | — ფოთში — | 107 | — |
| 4. მიქელაიშვილი დ თავართქილაძე (წიგ. მაღაზია) | — ოზურგ. | 134 | 53 |
| 5. იოსელიანი | სუფსა — | 6 | — |
| 6. წერეთელი ძმ. (წიგ. მაღ.) | ქუთაისი | 387 | 8 |
| 7. ხეთერელი ივლ. | — რიონის დ ქუთ. შუა | 120 | — |
| 8. ჭიჭინაძე ვარლამ (1891 წ. 19 აგვისტომ.) | დ. ზესტაფ. | 163 | 35 |
| 9. კაკაბაძე იოსებ (19 აგვისტოდ. 1891 წ.) | იქვე — | 147 | 85 |
| 10. ჭიჭინაძე ილ. | ძირულა | 12 | — |
| 11. შაფათავა ანდრია | — ბელოგორი | 26 | 80 |
| 12. ფანცულაია იოსებ | — ხაშური — | 149 | 15 |
| 13. კალანდაძე არსენ — | — გორი — | 72 | 60 |
| 14. ასათიანი ნიკოლოოზ | — ახალციხეში | 30 | — |
| 15. ცისკარაშვილი მიხეილ — | თელავი — | 107 | — |
| 16. სომხიევი — | კავკავი — | 13 | — |
| 17. ქლივიძე დიმიტრი — | — განჯა — | 33 | 70 |
| 18. ნოდია იაკ. | განჯა — | 48 | 70 |
| 19. გაგუა | — განჯ. მიმ. | 12 | 30 |
| 20. ბეჟანიშვილი მიხეილ — | ყარსში — | 42 | — |
| | ჯამი | 1984 | 72 |

ა ნ გ ა რ ი შ ი

ამხანაგობის გამოცემათა ტფილისში და პროვინციაში გაყიდულისა

| სახელწოდება გამოცემისა | ტფილისში. | პროვინციაში. | განსხვავება ტფილისზედ მეტ-ნაკლები. |
|---|---|---|---|
| 1. დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა-პოემა ბაჩანასი — — — — | 366 | 158 | 208 |
| 2. თხზულებანი ი. დავითაშვილისა — | 325 | 270 | 55 |
| 3. კედლის კალენდარი 1891 წ. — | 464 | 497 | 33 |
| 4. ხალხური ზღაპრები I ნაწილი, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ — — | 207 | 298 | 91 |
| 5. თხზულებანი ალ. ყაზბეგისა I ტ. — | 147 | 291 | 144 |
| 6. იგივე II ტ. — | 97 | 172 | 75 |
| 7. იგივე III ტ. — | 82 | 147 | 65 |
| 8. სამზარეულო — | 192 | 202 | 10 |
| 9. ბნელო — — | 78 | 125 | 47 |
| სულ სხვა-და-სხვა გამოცემა — — | 1958 | 2160 | 202 |

წიგნები ვრცელდებოდა უმეტეს ნაწილად იმერეთში, შემდეგ ქართლში, განჯაში, კახეთში, ყარსში და კავკავში.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „Кавказъ-ში დაბეჭდილ კორესპონდენციიდგან სჩანს, თუ რა გაჭირვებაში არიან შავს ზღვაზედ მოგზაურობის მსურველნი. სოხუმსა და ნოვოროსიისკს შუა რამდენიმე გემი დადის „რუსეთის ნავოსნობის საზოგადოებისა“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მგზავრები ხანდახან საშინელს გაჭირვებაში არიან ხოლმე. ძლიერ ხშირად, ზღვის ღელვისა და ქარების გამო, გემები სოხუმისა და ნოვოროსიისკის სადგურამდე ვერ მივლენ ხოლმე და ბევრჯელ მომხდარა, რომ სოხუმში მიმავალი მგზავრი ბათუმსა ან ნოვოროსიისკში მოუყვანიათ. აი მაგალითიც: ერთი კაცი სოჭიდგან ნოვოროსიისკში წასულა და იქიდგან-კი კარგა ხანს ველარ მოუხერხებია შინ დაბრუნება. რამდენჯერაც წამოსულა სოჭში, იმდენჯერ გემი, სხვა და სხვა მიზეზის გამო, ნავთსადგურთან ახლო ვერ მისულა და საბრალი მგზავრი მთელს სამს კვირას დადიოდა თურმე გემით ნოვოროსიისკსა და ახალ-ათონს შუა, ვიდრე ბედმა არ გაუღიმა და ძლივს ეღირსა სახლში დაბრუნება. სწორედ მოგახსენოთ, ვერაფერი სასიამოვნო მოგზაურობა შეხვედრია ამ კაცს. იგივე უნდა ითქვას ხოლმე გაგზავნ-გამოგზავნილს საქონელზედაც. ხანდახან გრიგალისა და ქარტეხილის გამო გემი ნავთსადგურს ვერ უდგება და ნოვოროსიისკიდგან სუხუმში გაგზავნილ საქონელს ზოგჯერ ერთის თვისა, ან ექვსის კვირის შემდეგ მიიტანენ ხოლმე დანიშნულს ადგილს. ასეთივე ბედი ეწვევა ხოლმე ფოსტის წერილებსა და კორესპონდენციებსაც. ერთად-ერთი-და იმედი დარჩენიათ შავის ზღვის ნაპირზედ მცხოვრებთ: როცა ნოვოროსიისკსა და სოხუმს შუა გზატკეცილი გაკეთდება, მაშინ ეშველებათ რამე და კაცი იძულებული აღარ იქნება თავის უნებურად იმ ქალაქში გაემგზავროს, რომლის ნახვა ფიქრადაც არა ჰქონია. იმედიაო, ამბობს „Кавказъ“-ი,

რომ ახალი გზა-ტკეცილი დიდს მეტოქობას გაუწევს „რუსეთის ნავოსნობისა“ და „საქონლის გაგზავნ-გამოგზავნელს“ საზოგადოებას. ეს ორივე საზოგადოება იძულებული იქნება შავის ზღვის ნაპირებზედ კარგი ნავთსადგურები გამართოს. წინააღმდეგს შემთხვევაში ბევრს იზარალებს, რადგანაც საქონლის პატრონები გზატკეცილზედ გადიტანენ ხოლმე საქონელს. „რუსეთის ნავოსნობის საზოგადოება“-კი ძლიერ შეძლებულია და, რასაკვირველია, ფულს არ დაზოგავს ორიოდ-სამიოდ ნავთსადგურის გამართვისათვის.

## რუსეთი

„Вѣстникъ Финансовъ“-ში საყურადღებო ცნობებია დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ რა შესავალ-გასავალი ჰქონია იანვრის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინას. ჩვეულებრივი შემოსავალი ხსენებულ დროს განმავლობაში 77,9 მილიონი მანათი ყოფილა, ე. ი. წინა წელთან შედარებით 3 მილიონით ნაკლები; ხოლო მოულოდნელი შემოსავალი 3%-ნ ოქროს სესხის გამო 50,1 მილიონით მეტი ყოფილა წინა წელთან შედარებით, ე. ი. სულ 53 მილიონი. ჩვეულებრივ შემოსავალთა შორის ყველაზედ ძლიერ უმატნია სახელმწიფო რკინის გზების შემოსავალს, სულ ერთის მილიონით. ძლიერ შემცირებულა სატამოჟნო გარდასახადის შემოსავალი—სულ 2,1 მილიონის მანათით; სასმელების გარდასახადის შემოსავალი 1,2 მილიონით; გლეხების მიერ ნადელების გამოსყიდვის შემოსავალი—1,2 მილიონით. იანვარშივე გასავალი ყოფილა: ჩვეულებრივი 84,2 მილიონი მანათი, ე. ი. წარსულს წელთან შედარებით 4,1 მილიონით მეტი; მოულოდნელი ხარჯი 11,3 მილიონი, ე. ი. 10,2 მილიონით მეტი წარსულს წელთან შედარებით. სულ ხსენებულ დროს განმავლობაში ხარჯი მოსვლია სახელმწიფოს 142 მილიონი, 40,9 მილიონით მეტი წარსულს წელთან შედარებით. შემოსავლის შემცირება და დიდი გასავალი იანვრისა, რასაკვირველია, იმის მიზეზია, რომ შარშან მოსავალი მოსცდა რუსეთის ბევრს გუბერნიაში.

## უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. დამთავრდა სეიმი ჩეხების უკანასკნელის სეიმისა და მაშასადამე ყოველივე განსაკუთრებული დასი უნდა შესდგომოდა იმის ზრუნვას, რომ ამომრჩეველთათვის ჩაეგონებინათ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ სხვა-და-სხვა საყურადღებო საპოლიტიკო საგნისა და უფრო-კი ტააფეს პოლიტიკის შესახებ. ეს საქმე გაუჭირდათ უფრო სტაროჩეხებსა და საფეოდალო ბარონებს; სეიმის დროსაც იმდენი გამბედაობა ვერ გამოიჩინეს, რომ ოპპოზიცია მტკიცედ დაეცვათ და ერის სურვილისა და მოძრაობისათვის პირდაპირი წინააღმდეგობა გაეწიათ. გერმანელები და მლადოჩეხები-კი სულ სხვა ნაირად იქცეოდნენ და იქცევიან; ამომრჩევლებთა წინაშე არაფერს არ ერიდებოდნენ და პირდაპირ აცხადებდნენ თავიანთს სურვილსა, პრინციპებსა. დამთავრდა თუ არა სეიმი, გერმანელებმა მაშინვე მოწოდებით მიჰმართეს თავიანთს მომხრეებსა და აშკარად გამოაცხადეს თავიანთი უკმაყოფილება მთავრობის მიმართ.

იმათზედ უფრო გაბედვით მოიქცა მლადოჩეხების მეთაური ედუარდ გრეგრი და იქით კვირას, თავისის საპოლიტიკო მომხრეების კრების დროს, რომელსაც 2,000 კაცი დაესწრო, ვრცელის სიტყვით მიჰმართა და გარკვევით აღნიშნა პროგრამა თავისის დასის მოქმედებისა. უპირველეს ყოვლისა ორატორმა აღნიშნა განსაკუთრებული თვისებანი ჩეხების აწინდელ საეროვნო მოძრაობასა. „ბევრჯელ მოუტანია დროსა და გვიბრძოლნია ჩვენის დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ გერმანელთა სურვილი სლავიანობის მოსასპობლად ასე ძლიერი და განცხოველებული არას დროს არა ყოფილა და ასე მრავალი მტერი არა გვყევია გარს. ბერლინში რომ ვიყავი, რეიხსტაგის ერთმა დეპუტატმა პირდაპირ და მოურიდებლად განაცხადა, მხოლოდ დროა საჭირო, თორემ პრუსიისა და ავსტრიის გერმანელები უთუოდ გაერთდებიან და ჩეხებიც დაჰკარგავენ თავიანთს ეროვნობას და გაგერმანელდებიანო. ეს მე კარგად მესმის და ჩვენს მოწინააღმდეგეებსაც აგრეთვე კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ჩვენ გვწადიან და ვცდილობთ ყველა სლავიანთა გაერთებას“. საზოგადოებამ ყვირილი ასტეხა: „დიაღ, დიაღ, ჩვენ ეგა გვსურსო!“ გრეგრმა განაგრძო: „გაგერმანელება ბოჰემიისა ავსტრიის აღგვასა ჰნიშნავს და ავსტრიის მთავრობას შეგნებული რომ ჰქონდეს თავისივე სარგებლობა, უთუოდ მხარს მოგვცემდა, არა იმიტომ, რომ ვუყვარდეთ, არამედ თავისისავე თავის დასაცველად. მაგრამ განგებას ვისიც დასჯა ჰსურს, ასე აბრმავებს თურმე. ავსტრიის მთავრობა გადამტერებულია ჩვენზედ, მაგრამ ჩვენ ამისი არ გვეშინიან: მონარქიის დაცვა ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ მხოლოდ იმათ უნდა მოვეკიდნეთ სიყვარულით, ვინც ძმურად მხარში ამოგვიდგება. ჩვენი საზრუნველი საგანი მხოლოდ ის უნდა იყოს, რომ ჩეხია დავიცვათ ჩეხთათვისვე, მომავალს თაობას გარდავცეთ შეურყეველი სლავიანობა და არ შევდრკეთ იმისა გამო, რომ ამ საქმეში გვეწინააღმდეგებიან ავსტრიელი გერმანელებიო“. მორიგების თაობაზედ გრეგრმა სთქვა, მკვდრების შესახებ ან კარგი უნდა ითქვას, ან სულ არაფერიო; სადაო საგნის გამო სათქმელი სრულიად არა მაქვს-რა, ხოლო დავასურათებ, თუ რა ნაირად ეკიდებიან ამ საქმეს სტაროჩეხები დ საფეოდალო მემამულენი. იმათ არ შეასრულეს, რასაც მთავრობა ითხოვდა, რადგანაც პასუხის-მგებელნი არიან ვენაში მომხდარ მორიგების გამო, უცდიან და, როცა ხალხი აღელვებისაგან დასცხრება, მაშინ-კი ყველაფერს აასრულებენ, რასაც ვენაში მოითხოვენ. მაგრამ ჩეხები უფრო გამჭრიახნი გამოდგნენ წინანდელს თავიანთს მეთაურებზედ და მანამდე არც დასცხრებიან, ვიდრე ვენაში მომხდარი მორიგება სრულიად არ გაუქმდება. „იმ მორიგებასაო, განაგრძო ორატორმა: ვერ ძალ-უძს აღნიშნოს ყოველივე საგანი ჩვენის მოქმედებისა და ვერც ჩვენ მოგვისვენებს გული, ვიდრე ვენგრიასავით საფედერაციო დამოუკიდებლობას არ ვეღირსებით, ვიდრე ჩეხთა სამეფო გვირგვინს ჩეხთავე მეფე არ დაიდგამს თავს“. გრეგრმა იკითხა: რატომ მლადოჩეხები არა ცდილობენ, რომ ჩეხების სხვა დასებს შეუერთდნენო, და ამაზე თითონვე მისცა შემდეგი პასუხი: იმიტომ-რომ ის სხვა დასები, სტაროჩეხები გაუბედავნი არიან, ხოლო ასე ბრძოლა შეუძლებელია; იმიტომ-რომ ფეოდალებმა გადივიწყეს, რომ ჩეხების შთამომავალნი არიან, არ ესმით და არც მისდევენ სარგებლობას თავიანთის ერისასაო.

ამასვე უნდა დავუმატოთ შემდეგი ამბავიც, რომელსაც დეპეშით იუწყებიან: ქალაქს ფიუმეში 18 აპრილს მოხდა კრება რეიხსრატის ხორვატელთა დასისა. ამ კრებაში მონაწილეობა მიიღეს კროაციისა, სლავონიისა, ისტრიისა და დალმაციის რწმუნებულთ. კრებამ შეადგინა მანიფესტი სახელმწიფოს ორსავე ნაწილში მცხოვრებ ხორვატელთა მიმართ. მანიფესტი იწვევს ხორვატელებს, მლადოჩეხებთან ერთად იმოქმედეთ და მათნი თანამოაზრენი იყავითო.

## წვრილი ამბავი

ინგლისურს გაზეთ „Speaker“-ში საყურადღებო ბაასია დაბეჭდილი ბ-ნ ედისონისა და ბიგელოუს. თუ ვერწმუნეთ ამ უკანასკნელს, ედისონს საშინელი აზრები გამოუთქვამს მომავალ ომიანობის შესახებ და განუცხადებია, რომ მე მოვიგონე განსაკუთრებული მომაკვდინებელი იარაღი, რომლითაც მთელის მტრის ჯარის ამოწყვეტა შესაძლებელი იქმნებაო.

„მე რომ გერმანიის იმპერატორის ადგილას ვიყო, უთქვამს ედისონს: სრულიად არ დავღონდებოდი იმ გარემოების გამო, რომ რუსეთთან ომი მომიხდება-მეთქი. საზოგადოდ არ მესმის, ეს მთავრობანი დროს რაზედ ჰკარგავენ და ფულს რად ჰხარჯავენ მვირფას საბრძოლველ იარაღების საკეთებლად. მე ამას წინად გავაკეთ-გავაუმჯობესე ერთ გვარი მანქანა, რომლითაც გემხომალდების მმართველ-გამგეობა შესაძლებელი იქნება. ეს მანქანა ისეა გაკეთებული, რომ ხომალდს სწორედ იმ გზით ატარებს, რომელიც ჩვენა გვსურს და ჩვენ გვინდა. ოდნავაც არის რომ გადაუხვიოს ამ ჩვენ მიერ სასურველს გზას, მაგნიტის ისარი მაშინვე შეატყობინებს განსაკუთრებულს ელექტრონის მანქანას და ეს კიდევ გემის მმართველს მანქანას აგრძნობინებს გემის გზის გადახვევას. ეს მანქანა-კი ისეა მოწყობილი, რომ მაშინვე გემს ისევ თავისს გზაზედ დააყენებს. შეიძლება ასეთივე მანქანა გავუკეთოთ ყველა ჭავრში მოსრიალე ყუმბარებს და იმ მხარეს წავმართოთ, საითკენაც ჩვენა გვსურს. მე ჭავროსტატების შესახებ არ მოგახსენებთ, რადგან არა მესმის-რა ისეთის მანქანისა, რომელიც ნიავისა და ქარის სურვილისამებრ მიდი-მოდის და მისი სიავ-კარგე ჰავაზედ არის დამოკიდებული. მე ისეთს საფრენს მანქანას ვამზადებ, რომელსაც, სა-

დაც გსურს, იქით წავმართავთ: ეს მანქანა ელექტრონის მამოძრავებლით იქნება გაკეთებული და ეს ამოძრავებს სასურველ მხრისაკენ. ვცადე და დავრწმუნდი კიდეც, რომ ამ საშუალებით, სულ ცოტა, 500 გირვანქა ამაფეთქებელ წამლის გადაგდება შეიძლება დანიშნულს ადგილას. ჩემი ცოდნა და გამოკვლევა იმედს მაძლევს, რომ ყოველივე სიძნელე ამის მხრივ დაძლეული მაქვს და გულითაცა კარ მოწადინებული, ომი აგიტუდეთ ერთი, რომ ამ საშუალების სიკეთე საქმითა ვცადო და დავამტკიცო მისი ავ-კარგიანობა. უკვე ყოველივერი მომზადებული მაქვს და საჭირო მასალას-კი ადვილად მოვუყრი თავს, რადგან შემიძლიან, ათას მექარხნეს შევუკვეთო, რომ რამდენსამე დღეში ყოველივე მომიმზადონო“.

როდესაც ბიგელოუს უკითხავს, შენ რომ გერმანიის იმპერატორის ალაგას იყო, რას იზამდიო, ედისონს უპასუხნია: „ჩემს საიდუმლოს კარგად გავუფრთხილდებოდი იმ დრომდე, ვიდრე ომისა და ბრძოლის საქმე გადაწყდება, და როცა ომი დაიწყებოდა, მანქანის ცალკ-ცალკე ნაწილს, სხვა-და-სხვა ქარხანაში შემზადებულს, ერთად მოვუყრიდი თავს სამხედრო თოფხანებში და ჭაერით დავუშვებდი მტრის ჯარს მთელს წვიმასა და სეტყვას დინამიტისას, ასე რომ სულ მცირე ხანში ამოვუწყვეტავდი მტერს ჯარს. ისე გავუხდიდი საქმეს, რომ ჩემი მტერი ომის დაწყებასაც ვერ მოასწრებდა, მით უმეტეს, რომ მე მოშორებული ვიქნებოდი და მტრის ჯარი სულ ვერაფერს დამაკლებდაო“.

## დეპეშა

25 აპრილი

**პეტერბურგი.** გუშინ, დილის 8 საათზედ, ნიკოლოოზის ხიდზე გაზი აფეთქდა და 20 საჟენის მანძილზედ დაგლიჯა გასაფრთხილებელი თუჯის ბადე, რომელიც მილზედ იყო გადაკრული. ხიდზედ მიმავალი 15 წლის ყმაწვილი ბოლდანოვი მდ. ნევაში გადისროლა, მაგრამ ის ყინულს მოეკიდა და გადარჩა, მხოლოდ მუხლი იღრძო. შუა ხიდზედ ორი სხვა მიმავალი კაციც გადისროლა, მაგრამ არ დაშავებულან-კი. 10 საათზედ, როდესაც აფეთქებულს ადგილებს სჩხრეკდნენ, ხელ-მეორედ მოხდა აფეთქება, რომელმაც ზიანი არა მოახდინა-რა. გამოძიება სწარმოებს.

„С.-Петерб. Вѣдомости“-ს გაუგონია, ამ მოკლე ხანში რამდენსამე ერობას ბჭობა ექნება იმის თაობაზედ, რომ პროგიმნაზიები გადაკეთდეს სამეურნეო ხასიათის საზოგადო სასწავლებლებადაო.

**ლონდონი.** საანარხისტო გაზეთ „Common Wealth“-ის რედაქტორს 18 თთვით კატორგა გადაუწყვიტეს, რადგან კაცის კვლაზედ აქეზებდა.

**პარიჟი.** დღეს საღამოს ვიღაც ბლუზიანი გლეხი მივიდა იუსტიციის სამინისტროში და რაღაცა ქაღალდებს თხოულობდა; როცა მეკარემ უარი უთხრა, უცნობმა რევოლვერი ესროლა და ხელში დასჭრა. გლეხმა განაცხადა, იმიტომ ვესროლე რევოლვერი, რომ მინდოდა ჩემთვის ყურადღება მოექციათო.

**ლიუტტიხი.** წუხელის ბურგომისტრ ალერის სადგომთან დინამიტის გულა აფეთქდა და ფანჯრის შუშები ჩაამტვრია.

**პარიჟი.** ბაიფონიიდგან წერილით იუწყებიან, ლანგსონში თავადს ვიაზემსკის, რომელმაც ჩინეთი განვლო, დიდის ამბით დაუხვდნენო. ლანგსონში გამოკიდებული იყო რუსეთის დროშები და ვიაზემსკის წარჩინებულნი მიეგებნენ. სადღეგრძელო წარმოითქვა ხელმწიფე იმპერატორისა და რუსეთისა. თავად ვიაზემსკიმ სამაგიეროდ სადღეგრძელო სთქვა საფრანგეთისა და პრეზიდენტის კარნოსი.

**ვენა.** დღეს დაიწყო იმპერატორის მიერ გამართული სამუსიკო და სათეატრო გამოფენა. რუსეთის განყოფილება კოხტა და საყურადღებოა. ამ განყოფილებაში ზოგი ისეთი ნივთებიც არის, რომელიც, როგორც ერცჰერცოგმა ვილჰელმმა სთქვა, ძლიერ ორიგინალურია. სხვათა შორის იმპერატორს წარუდგინეს თავმჯდომარე პეტერბურგის კონსერვატორიისა.

**ბერლინი.** „Tageblatt“-ს სწერენ ზანზიბარიდგან, რომ, როგორც არაბები ამბობენ, თუმცა ეს ამბავი ჯერ შემოწმებული არ არის, ემინ-ფაშა გარდაიცვალაო.

26 აპრილი.

**პეტერბურგი.** 22—24 აპრილს განსაკუთრებულს კომიტეტს შეწირულება მოუვიდა 20,000 მანათი; აქედგან 10,000 მანათი ა. ვ. კოკორევმა შესწირა.

გამოცხადებულ იქმნა ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულება არყის მექარხნეთა და სპირტის მრეწველთა კრებისა, რომელიც 10 ივნისს უნდა მოხდეს მოსკოვში თავმჯდომარეობით შეუწერელ ხარჯთა დეპარტამენტების დირექტორისა. ამასთანავე გამოცხადებულ იქმნა პროგრამა იმ საგნებისა, რომელიც კრებამ უნდა განიხილოს. ამ საქმისათვის სამზადისის დაწყება მიენდო ფინანსთა სამინისტროს მიერ დაწესებულს კომიტეტს. კრება გაგრძელდება 7 დღეს.

**ბრიუსსელი.** შატელში სცადეს ლუდის მექარხნეების სახლის აფეთქება დინამიტით. გულანი გასკდა (მგონი უნდა იყოს: არ გასკდა) და დღეს დილით იპოვნეს.

27 აპრილი

**პეტერბურგი.** კრონშტადტში მოვიდა სამი გემი და ამით დაიწყო ნაოსნობა ზღვაზედ.

ინჟენერმა გაჩკოვსკიმ განაცხადა, ჩემ მიერ მოგონილი წამალი გლიცერინისა და ბურასაგან მზადდებაო.

„Новости“-ს გაუგონია, მორიგება მოხდა შესახებ იმისა, რომ რკინის გზა იქმნას გაყვანილი სტავროპოლიდგან კავკასიის კავკავის რკინის გზამდეო.

**ოდესსა.** აქ მოვიდა ფრანგთა სამხედრო გემი „პეტრელი“ და იმის კომანდირსა და აფიცრებს წარჩინებულნი პატივისცემით მიეგებნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 21 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,63 | 7,67 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $152\frac{1}{2}$ | $153\frac{3}{4}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,12 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $237\frac{1}{2}$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $219\frac{1}{2}$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 197 | $198\frac{3}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## განცხადებანი


ისყიდება
კახეთის საუკეთესო

**ღვინოები**

თ. ილია ჭავჭავაძისა

და სხვა მემამულეთა.

ვედრო ღირს ცხრა აბაზიდგან თორმეტ მანეთამდე, ბოთლი სამ შაურიდგან მანეთ ნახევრამდე. სარდაფი იმყოფება შუაბაზრის თავში, წინამძღვარიშვილის სახლში, № 1.

სოლომონ ყურდღელოვი
(4—58—2)

ღვინის საწყობი თავ. ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა

(გოლოვინის პროსპექტზედ, სახლი თავ. მუხრანსკისა)

საყოველთაოდ ვაუწყებთ, რომ ამ ფირმის ღვინო ტფილისში არსად არ ისყიდება, გარდა ზემოხსენებულის საწყობისა. თუმცა გამოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც „მუხრანსკის“ ფირმით ჰყიდიან ღვინოს, მაგრამ იმათ ბაგრატიონ-მუხრანსკისთან არავითარი ერთობა არა აქვთ. (5—2)

ქუთაისის ქალაქის გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ ხუთს მომავალს მაისს გამგეობაში არის დანიშნული ვაჭრობა, ვაჭრობის განუმეორებლად ქუთაისის ხიდების შემოსავლის იჯარის გაცემისათვის ორის წლის ვადით ცხრამეტ მაისიდგან 1892 წ. ვისაც სურს ივაჭროს უნდა წარმოადგინოს ერთის თთვის შემოსატანი იჯარის ფული ნაღდად, ან ბანკის ბილეთი და ანუ სარგებლიანი ქაღალდები. ვაჭრობა იქნება სიტყვიერი და დაბეჭდილ განცხადებითაც. დაიწყება ვაჭრობა თორმეტ საათიდგან და გაგრძელდება ორ საათს. ვისაც უნდა გაგება პირობისა და ანუ სხვა საქმეებისა ამის შესახებ, შეუძლიან გაიგოს დილის ცხრა საათიდგან ორ საათამდე შუადღის შემდეგ, გარდა კვირა-უქმე დღისა.
(3—3)

**მაღაზია სარპინკებისა**

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**

**ბენდერ და სცეფანოვი**

(35—56—7)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

**ახალი სტამბა**

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც **„ივერიის“** რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე **სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**


Дозв. ценз. Тифлисъ, 27-го Апрѣля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.